www.gda.ge

# ტექნიკური დავალების დოკუმენტი

## სარჩევი


პროექტის შესახებ

ამოცანები

პორტალის გვერდები

გვერდის სტრუქტურა

ინფორმაცია გვერდების შესახებ

- სიახლეები
- სიახლეების დეტალური გვერდი
- დიასპორული პროგრამები
- პროგრამების დეტალური გვერდი
- დიასპორა
- სერვისები
- ჩვენ შესახებ
- საკონტაქტო ინფორმაცია
- ეკონომიკა
- განათლება
- სახელმძღვანელოები
- ქართული ენის სწავლება
- სტიპენდიები
- ახალგაზრდობა
- დაბრუნება საქართველოში
- რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა
- ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა
- რეინტეგრაციის გზამკვლევი
- მუნიციპალური სერვისები
- დასაქმება საქართველოში

ძიება

ავტორიზაცია / რეგისტრაცია

- რეგისტრაცია
- დიასპორული ბაზა
- დიასპორული ბაზის ფუნქციები:
- ავტორიზაცია

ადმინისტრატორის მხარე

# პროექტის შესახებ

დიასპორული ვებ გვერდი ( www.gda.ge ) არის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული ციფრული რესურსი, რომელიც გამოიყენება უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობების წარმოსაჩენად.

პროექტის მიზანია, ვებ გვერდზე მოხდეს წინასწარ განსაზღვრული ფუნქციონალების დამატება, არსებული ინსტრუმენტების გაუმჯობესება, დიზაინის განახლება და პორტალის ტექნიკური ოპტიმიზაცია.

## ამოცანები

- ვიზუალური განახლება / დიზაინის ცვლილება (ვებ გვერდის დიზაინი ბმაში უნდა იყოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა ციფრული რესურსების დიზაინთან, როგორიცაა მაგალითად: www.mfa.gov.ge ).
- ავტორიზაცია / რეგისტრაცია ფუნქციონალის დამატება.
- ავტორიზებული მომხმარებლის სივრცის ფუნქციური აღჭურვა.
- მომხმარებლის სივრცეში დიასპორული ბაზის გამართვა.
- არსებული ფუნქციონალების გაუმჯობესება.
- პროდუქტი მორგებული უნდა იყოს ყველა სახის ციფრულ მოწყობილობებსა და ბრაუზერებზე.
- ვებ გვერდის არქიტექტურა უნდა იყოს გათვლილი მომავალ გაუმჯობესებაზე.

## პორტალის გვერდები

მთავარი გვერდი
სიახლეები
დიასპორული პროგრამები
დიასპორული პროგრამების დეტალური გვერდი
დიასპორა (სერვისები)
მეფინგი - დიასპორული ორგანიზაციები, მედიები, საკვირაო სკოლები
ჩვენ შესახებ
ეკონომიკური შესაძლებლობები
ეკონომიკური ფორუმები
ბიზნესი (მეფინგი)
სოფლის მეურნეობა (მეფინგი)
განათლება
სახელმძღვანელოები - განათლება
ქართული ენის სწავლა - განათლება
სტიპენდიები - განათლება
ახალგაზრდობა
დაბრუნება საქართველოში

## გვერდის სტრუქტურა

ყოველი გვერდი შედგება **3 ნაწილისგან:**

- **Header** - აქ განთავსებულია ლოგო, მენიუ, ძიება, რეგისტრაცია / ავტორიზაცია ან / და მომხმარებლის პროფილის ღილაკი, ენების შეცვლის მაჩვენებელი.
- **Body** - თითოეული გვერდის შინაარსიდან გამომდინარე ინფორმაცია იცვლება. ძირითადად განთავსებულია სხვადასხვა ზომის ბანერები, ტექსტები, ვიზუალური მასალები და ა.შ.
- **Footer** - აქ განთავსდება ისეთი ბმულები და გვერდები, რომლებიც ძირითად მენიუში (Mega Menu) არ შევიდა, ეს შესაძლოა იყოს: დონორების ლოგო, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა დამხმარე გვერდები.

**Header**
დეპარტამენტის ლოგო
მენიუ (Mega Menu)
ავტორიზაცია/ რეგისტრაცია
ენების შეცვლის ღილაკი

**სიახლეები**
**დიასპორული პროგრამები**
- დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა
- ახალგაზრდა ელჩები
- უცხოეთში მოქმედი ქართულ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა

**დიასპორა**
- ორგანიზაციები
- მედიები
- საკვირაო სკოლები

**სერვისები**
**ეკონომიკა**
- ბიზნესის განვითარება
- სოფლის მეურნეობა და მაღალმთიანი რეგიონები
- ინვესტიციები

**განათლება**

- სახელმძღვანელოები საკვირაო სკოლებისთვის
- ქართული ენის სწავლება
- სასტიპენდიო შესაძლებლობები

**ახალგაზრდობა**

**დაბრუნება საქართველოში**

- რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა
- ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა
- რეინტეგრაციის გზამკვლევი
- მუნიციპალური სერვისები
- დასაქმება საქართველოში

**ჩვენ შესახებ**

**ძიება**

**ავტორიზაცია / რეგისტრაცია**

**Footer**

ჩვენ შესახებ

კონტაქტი

სოციალური ქსელები

დამატებითი ბმულები

# ინფორმაცია გვერდების შესახებ

## სიახლეები

სიახლეების საერთო გვერდი წარმოადგენს პორტალზე გამოქვეყნებული სიახლეების **ერთიან სიას**.
გვერდს აქვს რამდენიმე **ფილტრი**, რომელიც აცალკევებს სიახლეებს ერთმანეთისგან. ფილტრის გამოყენებისას მომხმარებელი რჩება იმავე გვერდზე, თუმცა ფილტრების შეცვლისას გენერირდება დამოუკიდებელი **ბმული (URL)**.

**ფილტრები**:
- ყველა;
- დიასპორული სიახლეები;
- სიახლეები საქართველოდან;
- კონკურსები.

ვებ გვერდის მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი ფილტრების **შექმნა, წაშლა** და საჭიროების შემთხვევაში **რედაქტირება.**
სიახლეები გადანაწილებული უნდა იყოს გვერდებზე **პაგინაციით**.
საერთო სიაში სიახლეები უნდა ჩანდეს **ვიზუალი (ფოტო/ვიდეო), სათაური, ქვესათაური, გამოქვეყნების თარიღი, ფილტრის მანიშნებელი.**

***ამჟამად ვებ გვერდზე „სიახლეები" ნაწილში არსებული ინფორმაცია სრულად უნდა გადავიდეს ახალ ვებ გვერდზე.**

## სიახლეების დეტალური გვერდი

სიახლეების დეტალურ გვერდზე წარმოდგენილია **სიახლის სათაური, ვიზუალური მასალა, ტექსტი, ვიდეო მასალის განთავსების შესაძლებლობა, რამდენიმე ფოტოს (ფოტო გალერეის) ერთდროულად ატვირთვის შესაძლებლობა.**

სიახლის ბოლოს უნდა ჩანდეს ორი კატეგორია:
- **"შესაძლოა დაგაინტერესოთ"** - სიახლეები, რომლებიც გაიწერება ვებ გვერდის მართვის პანელიდან, ადმინისტრატორის მიერ კონკრეტულად შერჩეული

სიახლეები. თუ ეს ველი მართვის პანელიდან არ არის შევსებული, მაშინ არ უნდა ჩანდეს მომხმარებლის მხარეს.

- **“მსგავსი სიახლეები”** - სხვა სიახლეები, რომლებიც გენერირდება ავტომატურად, მაგალითად: სიახლეები იგივე ფილტრიდან.

## დიასპორული პროგრამები

დიასპორული პროგრამების გვერდი აერთიანებს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ **3 საგრანტო კონკურსის** შესახებ ინფორმაციას:

- **იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი;**
- **დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა**
- **უცხოეთში მოქმედი ქართულ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა**

ამ გვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- თითოეული პროგრამის ლოგო (ვიზუალური მასალა),
- პროგრამის დასახელება;
- მოკლე ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
- გამოცხადებულია თუ არა პროგრამაზე განაცხადების მიღება (რაიმე ფორმით მინიშნებული უნდა იყოს, რომ პროგრამაზე განაცხადების მიღება დაწყებულია);
- თითოეული პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციაზე გადასვლის მანიშნებელი.

## პროგრამების დეტალური გვერდი

**პროგრამების დეტალური გვერდზე წარმოდგენილია:**

- ვიზუალური მასალა;
- ტექსტი;
- ვიდეო მასალა;
- სოციალური ქსელების ბმული;
- მანიშნებელი გამოცხადებულია თუ არა პროგრამაზე განაცხადების მიღება;
- პროგრამის შესახებ ბოლოს გამოქვეყნებულ სიახლეებს.

ასევე, დეტალურ გვერდზე უნდა იძებნებოდეს ინფორმაცია წლების მიხედვით კონკურსში გამარჯვებული პირების/ორგანიზაციების შესახებ. კონკურსში

გამარჯვებული პირების შესახებ ინფორმაცია უნდა **იფილტრებოდეს წლების მიხედვით.**

## დიასპორა

ძირითად მენიუში (Mega Menu) ეს კატეგორია უნდა იყოს ე.წ. Drop Dawn მენიუს სახით წარმოდგენილი.
ქვეკატეგორიების:

- **დიასპორული ორგანიზაციები;**
- **დიასპორული მედიები;**
- **დიასპორული საკვირაო სკოლები.**

ქვეკატეგორიის გვერდების ფუნქციები არის მსგავსი. გვერდი წარმოადგენს ერთგვარ **რუკას,** სადაც დატანილია კონკრეტული ინფორმაცია, რომელსაც აქვს **ძიებისა და ფილტრის ფუნქცია.**
**ძიების ნაწილში** შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტული სიტყვის ან/და სიტყვების ჩაწერა და ამ ფორმით შესაბამისი ინფორმაციის მოძიება.
ამ გვერდს უნდა ქონდეს რამდენიმე სხვადასხვა **ფილტრი**:

- **ფორმა** - დიასპორული ორგანიზაციაა, მედია თუ საკვირაო სკოლაა;
- **გეოგრაფია** - კონტინენტი, ქვეყანა, ქალაქი.

**ძიების შედეგებში** უნდა ჩანდეს კონკრეტული ორგანიზაციის/მედიის/საკვირაო სკოლის:

- ლოგო(ვიზუალური მასალა);
- სახელწოდება;
- რომელ ქალაქში ფუნქციონირებენ;
- შესაძლებლობა დეტალური ინფორმაციის ნახვის.

*ასევე თუ შესაძლებელია გამოჩნდეს ე.წ. **კალკულატორი,** რამდენ ქვეყანაში, ქალაქში დიასპორული ორგანიზაციაა/მედია/საკვირაო სკოლების საერთო რაოდენობა.

**თითოეული ორგანიზაციის/საკვირაო სკოლის/მედიის დეტალური გვერდი:**
ამ გვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ვიზუალური მასალა;
- ტექსტი;
- ორგანიზაციის სახელწოდება;
- საკონტაქტო ინფორმაცია;

- სოციალური მედიის არხები;
- ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის ფარგლებში ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა ან/და მედია უნდა იყოს მითითებული ორგანიზაციის დეტალურ გვერდზე და პირიქით.

*ავტორიზებულ პირებს აჩვენოს იმ ორგანიზაციასთან/მედიასთან/საკვირაო სკოლასთან დაკავშირებული პირი/პირები და თავად ორგანიზაციის რეგისტრირებული პროფილი.*

აღნიშნულ კატეგორიაში ინფორმაციის დამატების **ორი წყარო არსებობს:**

1. მართვის პანელიდან, ადმინისტრატორის მიერ;
2. ვებ გვერდი სინქრონიზებული უნდა იყოს დეპარტამენტის შიდა მოხმარების soft-თან, სადაც ინახება/გროვდება ინფორმაცია დიასპორული ორგანიზაციების/მედიების/საკვირაო სკოლების შესახებ.

## სერვისები

ეს გვერდი აერთიანებს ინფორმაციას კონკრეტული სერვისების შესახებ:

1. საკონსულო აღრიცხვა;
2. თანამემამულის სტატუსი;
3. ორმაგი მოქალაქეობა;
4. მიიღე დოკუმენტი საქართველოში ჩამოუსვლელად;
5. უცხოეთში საქართველოს მისიები;
6. ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი.

პირველი სამი გვერდი არის აღწერილობითი და მოიცავს ერთი კონკრეტული სერვისის შესახებ ინფორმაციას:

- ფოტო/ვიდეო მასალა;
- ტექსტი;
- სერვისის გამცემი ორგანიზაცია;
- დამატებითი ბმული გადამისამართებისთვის (უშუალოდ იმ ორგანიზაციის ონლაინ რესურსებზე ვინც გასცემს ამ სერვისს).

**მიიღე დოკუმენტი საქართველოში ჩამოუსვლელად** - ეს გვერდი აერთიანებს **რამდენიმე სერვისს**, შესაბამისად თითოეულს დამოუკიდებლად სჭირდება:

- ფოტო/ვიდეო მასალა;

- ტექსტი;
- სერვისის გამცემი ორგანიზაცია;
- დამატებითი ბმული გადამისამართებისთვის (უშუალოდ იმ ორგანიზაციის ონლაინ რესურსებზე ვინც გასცემს ამ სერვისს).

ინფორმაცია უნდა გადანაწილდეს გვერდებზე **პაგინაციით**.

**ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი** აერთიანებს პუბლიკაციებს სადაც უნდა ჩანდეს კონკრეტული პუბლიკაციის:

- ყდა (ვიზუალური მასალა);
- პუბლიკაციის სათაური;
- მოლე აღწერა;
- პუბლიკაციის გახსნის, წაკითხვა და ჩამოტვირთვის ფუნქცია.

რამდენიმე პუბლიკაციის განთავსების შემდეგ ინფორმაცი უნდა გადანაწილდეს გვერდებზე პაგინაციით.

## ჩვენ შესახებ

აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია ვიზუალური მასალა (ფოტო და ფოტო გალერეა, ვიდეო მასალა, ტექსტი, სოციალური მედია არხების ბმულები).

## საკონტაქტო ინფორმაცია

განთავსებულია ვიზუალური და ტექსტური მასალა, სოციალური მედია არხების ბმულები.

სიახლეების გამოწერის ველი, სადაც სურვილის შემთხვევაში მომხმარებელი უთითებს:

- სახელი/გვარი (სავალდებულო ველი);
- ელ. ფოსტა (სავალდებულო ველი)
- დამატებითი კომენტარი (არასავალდებულო ველი).

## ეკონომიკა

ეკონომიკის კატეგორიას მენიუში ექნება Drop Dawn ფუნქციით, შემდეგი **ქვეკატეგორიიებით**:

- ბიზნესი
- სოფლის მეურნეობა
- ინვესტიციები

თითოეული გვერდი **ფუნქციურად და ვიზუალურად მსგავსია**. სამივე გვერდი აერთიანებს საგრანტო პროგრამებს, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები სთავაზობენ საქართველოს მოქალაქეებს.
შესაბამისად, თითოეულ ქვეკატეგორიაში წარმოდგენილია **რამდენიმე საგრანტო შესაძლებლობა შემდეგი სახით:**

- ვიზუალური მასალა (ფოტო);
- საგრანტო პროგრამის სახელწოდება;
- განმახორციელებელი ორგანო/ორგანიზაცია;
- მიმდინარეობს თუ არა განაცხადების მიღება პროგრამაზე;
- აღწერა - მაქსიმუმ 50 სიტყვა;
- მეტის ნახვა.

ამ გვერდებს აქვთ **ფილტრები:**

- ყველა;
- სახელმწიფო პროგრამები;
- სხვა პროგრამები;
- მიმდინარე;

## განათლება

მენიუში წარმოდგენილი იქნება Drop Dawn სახით და გააერთიანებს შემდეგ **ქვეკატეგორიებს:**

- სახელმძღვანელოები;
- ქართული ენის სწავლება;
- სტიპენდიები

## სახელმძღვანელოები

სახელმძღვანელოების გვერდი ერთიანებს **PDF ფორმატის რესურსებს**, რომლებიც ვიზუალურად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- წიგნის ყდა;
- სახელწოდება;
- საფეხური;
- ნახვა/ჩამოტვირთვა.

ასევე ამ გვერდს აქვს **ორი ფილტრი** სახელმძღვანელოების საფეხურებისა და ფორმატის მიხედვით:

- პირველი საფეხური;
- მეორე საფეხური;
- მესამე საფეხური.

**ასევე:**

- მოსწავლის წიგნი;
- მასწავლებლის გზამკვლევი;
- მოსწავლის რვეული.

## ქართული ენის სწავლება

გვერდი აერთიანებს **რამდენიმე პროგრამას, შემდეგი სახით:**

- ვიზუალური მასალა;
- პროგრამის სახელწოდება;
- აღწერა;
- დამატებითი ინფორმაცია.

## სტიპენდიები

ამ გვერდზე წარმოდგენილია ის სახელმწიფო უწყებები / ორგანიზაციები რომლებიც გასცემენ სასწავლო გრანტებს/სტიპენდიებს. **შესაბამისი ორგანიზაციები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:**

- ფოტო/ვიდეო;
- სახელწოდება;
- აღწერა;
- დამატებითი ინფორმაციის ბმული.

**გვერდს აქვს ფილტრის ფუნქცია:**

- ყველა;
- საქართველოში სწავლა;
- საზღვარგარეთ სწავლა.

## დაბრუნება საქართველოში

აღნიშნული გვერდი მენიუში წარმოდგენილია **ე.წ.** Drop Dawn **სახით, შემდეგი ქვეკატეგორიებით:**

- რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა
- ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა
- რეინტეგრაციის გზამკვლევი
- მუნიციპალური სერვისები
- დასაქმება საქართველოში

### რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა

გვერდი შეიცავს შემდეგი ტიპის კომპონენტებს:

- ფოტო/ვიდეო
- ტექსტი
- დამატებითი ინფორმაციისთვის ბმულები
- საკონტაქტო ინფორმაცია
- დაკავშირებული სიახლეები

### ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა

- ფოტო/ვიდეო
- ტექსტი
- დამატებითი ინფორმაციისთვის ბმულები
- საკონტაქტო ინფორმაცია (მათ შორის რამდენიმე მისამართისა და შესაბამისი Google Maps-ის მითითებით)
- დაკავშირებული სიახლეები

## რეინტეგრაციის გზამკვლევი

სახელმძღვანელოების გვერდი ერთიანებს **PDF ფორმატის რესურსებს**, რომლებიც ვიზუალურად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- წიგნის ყდა;
- სახელწოდება;
- ავტორი;
- ნახვა/ჩამოტვირთვა.

## მუნიციპალური სერვისები

სახელმძღვანელოების გვერდი ერთიანებს **PDF ფორმატის რესურსებს**, რომლებიც ვიზუალურად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- წიგნის ყდა;
- სახელწოდება;
- ავტორი;
- ნახვა/ჩამოტვირთვა. (შესაძლებელი უნდა იყოს რამდენიმე **PDF** ის მიბმა ერთდროულად)

## დასაქმება საქართველოში

საქართველოში არსებული დასაქმების საიტების ჩამონათვალი. ფილტრების გარეშე. წარმოდგენილია შემდეგი ფორმატით:

- ვიზუალური მასალა;
- სახელწოდება;
- ბმული.

## ძიება

ძიების დახმარებით მომხმარებელი ნახულობს სასურველ ინფორმაციას საიტზე.
ძიების სისტემა უნდა იყოს მოქნილი და ყველასთვის გასაგები.
ძიება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- სიტყვის აკრეფისას უნდა გთავაზობდეს შესაბამის ვარიანტებს;
- ითვალისწინებდეს შეცდომებს;
- იძებნებოდეს ყველა ფორმის ინფორმაცია; (ავტორიზებული მომხმარებლის შემთხვევაში უნდა აჩენდეს სხვა რეგისტრირებულ და საჯარო მომხმარებლებს და ორგანიზაციებს);

ძიების ველში სიტყვის ჩაწერისას, უნდა გამოჩქონდეს **ყველა ჩანაწერი ამ სიტყვის გარშემო**, ძიების შედეგის გვერდზე მითითებული უნდა ქონდეს **შესაბამისი კატეგორია.**

**სწრაფ ძიებაში გამოდიოდეს ყველაზე პოპულარული / ნახვადი ჩანაწერები.**
მომხმარებელი შესაბამისი კატეგორიიდან აარჩევს ინფორმაციას და გადავა ამ კონკრეტული ჩანაწერის გვერდზე. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს არ დააკმაყოფილებს სწრაფი ძიების შედეგები, ესეთ დროს ირჩევს **"ყველას ნახვა"** და ნახულობს **შესაბამისად ძიების ყველა შედეგს.**

ყველას ნახვის, ანუ **ძიების გვერდზე** ინფორმაციები უნდა იყოს განთავსებული შემდეგი ფორმით:

- ფოტო მასალა;
- სათაური
- ქვესათაური
- თარიღი
- რომელი კატეგორიიდან არის ეს ინფორმაცია.

# ავტორიზაცია / რეგისტრაცია

## რეგისტრაცია

პორტალზე რეგისტრაციის რამდენიმე **ფორმა** არსებობს:

- ინდივიდი
- დიასპორული ორგანიზაცია/ მედია / საკვირაო სკოლა/სამრევლო
- ბიზნესი
- სახელმწიფო უწყება

რეგისტრაციისას **მომხმარებელი უთითებს შემდეგ ინფორმაციას:**

- სახელი / გვარი (სავალდებულო ველი;
- ელ. ფოსტა;
- პაროლი;
- ნიშნავს უსაფრთხოების ფანჯარას.

**ველები ემატება ან/და იცვლება სხვა დანარჩენი ფორმის რეგისტრაციის შემთხვევაში.**

რეგისტრაციის მოთხოვნა ავტომატურად იგზავნება ვებ გვერდის ადმინისტრატორთან, რომელიც **ადასტურებს ან/და აუქმებს რეგისტრაციას,** რომლის შესახებაც ინფორმაცია მომხმარებელს მისდის რეგისტრაციისას მითითებულ ელ. ფოსტაზე.

რეგისტრაციის დასრულებისას მომხმარებელი, ავტორიზებული მომხმარებელი გადადის თავის პროფილზე, სადაც **ავსებს დამატებით ინფორმაციას**, ასევე ტვირთავს ვიზუალურ მასალას (ინდივიდის შემთხვევაში):

- სახელი/გვარი;
- ელ. ფოსტა;
- დაბადების თარიღი;
- დაბადების ადგილი (ქვეყანა, ქალაქი);
- საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა, ქალაქი);
- მოქალაქეობა (ქვეყანა);
- პროფესია;
- განათლება;
- არის თუ არა დასაქმებული;
- რომელ სფეროშია დასაქმებული;

- დამქირავებელი;
- CV ატვირთვის ფუნქცია;
- სოციალური ქსელებიდან ფოტო ალბომების მიბმა;
- საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა, tel;
- სოციალური ქსელების ბმული (რამდენიმე ბმულის მითითების შესაძლებლობა);
- ვებ გვერდი (რამდენიმე გვერდის მითითების შესაძლებლობა)
- პროფილის ფოტოს ატვირთვის ღილაკი.

დიასპორული ორგანიზაციების შემთხვევაში პირადი პროფილის ველები იქნება შემდეგი:

- ორგანიზაციის დასახელება;
- ელ. ფოსტა
- დაარსების თარიღი;
- რომელ ქვეყანაში ფუნქციონირებს;
- რომელ სფეროში მოღვაწეობს;
- ორგანიზაციის მისია;
- ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
- სოციალური ქსელებიდან ფოტო ალბომების მიბმის შესაძლებლობა;
- საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა, tel;
- სოციალური ქსელების ბმული (რამდენიმე ბმულის მითითების შესაძლებლობა);
- ვებ გვერდი (რამდენიმე გვერდის მითითების შესაძლებლობა)
- პროფილის ფოტოს ატვირთვის ღილაკი.
- განხორციელებული პროექტები: პროექტის სახელწოდება, მოკლე აღწერა, თარიღები.

დიასპორული საკვირაო სკოლის შემთხვევაში იქნება შემდეგი:

- სკოლის დასახელება;
- ელ. ფოსტა
- დაარსების თარიღი;
- რომელ ქვეყანაში ფუნქციონირებს;
- რამდენი მოსწავლე ყავთ
- სკოლის მისია;
- სკოლის დირექტორი/ხელმძღვანელი;
- სოციალური ქსელებიდან ფოტო ალბომების მიბმის შესაძლებლობა;
- საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა, TEL;
- სოციალური ქსელების ბმული (რამდენიმე ბმულის მითითების შესაძლებლობა);
- ვებ გვერდი (რამდენიმე გვერდის მითითების შესაძლებლობა)
- პროფილის ფოტოს ატვირთვის ღილაკი.
- განხორციელებული პროექტები: პროექტის სახელწოდება, მოკლე აღწერა, თარიღები.

პირადი პროფილის ბოლოს ასევე უნდა ჩანდეს **სურს თუ არა კონკრეტულ პირს/ორგანიზაციას მისი პროფილი იყოს საჯარო**, რაც ნიშნავს, რომ მისი პროფილი გამოუჩნდეს ვებ გვერდზე რეგისტრირებულ სხვა მომხმარებლებს.

***არც ერთი რეგისტრირებული და ავტორიზებული მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია არ უნდა იძებნებოდეს ღია საძიებო სისტემებში, როგორიცაა google, yahoo და ა.შ.**

## დიასპორული ბაზა

ყველა რეგისტრირებული მომხმარებელი ინდივიდი/დიასპორული ორგანიზაცია/მედია/საკვირაო სკოლა/საჯარო უწყება/ბიზნესი თავს იყრის დიასპორულ ერთიან ბაზაში.
აღნიშნული ბაზა ხელმისაწვდომია მხოლოდ რეგისტრაცია გავლილ, ავტორიზებული მომხმარებლებისთვის. ბაზა ავტორიზებულ მომხმარებელს უნდა უჩანდეს თავის სივრცეში.
ბაზაში ინფორმაცი ხვდება ორი გზით:

1. **რეგისტრაცია** - მომხმარებელი, რომელიც რეგისტრაციის დროს მიანიშნებს, რომ მისი პროფილი უნდა რომ იყოს **საჯარო;**
2. **პორტალის ადმინისტრატორის მიერ** - ვებ გვერდის ადმინისტრირების პანელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კონკრეტული ორგანიზაციის, ინდივიდისა თუ უწყების შესახებ ინფორმაცია შეიყვანოს ბაზაში. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს რაიმე ფორმით მინიშნებული, რომ ინფორმაცია შეყვანილია ადმინისტრატორის მიერ. ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ასეთი ფორმით შეყვანილი ინფორმაციია **რედაქტირება და წაშლა.**

## დუბლირება

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრატორის მიერ ბაზაში შეყვანილი ინფორმაცია და რეგისტრაციის დროს თავად მომხმარებლის მხრიდან მითითებული ინფორმაცია (ელ. ფოსტა, სახელი, გვარი) ემთხვევა, ადმინისტრატორს უნდა მისდიოდეს შეტყობინება აღნიშნულის შესახებ, რომლის შემდეგაც უნდა შეეძლოს მისი მხრიდან შეყვანილი ინფორმაციის წაშლა ან/და რედაქტირება.

## დიასპორული ბაზის ფუნქციები:

- **საძიებო ველით ძიება** - ბაზაში არსებული პროფილების ძიება უშუალოდ საძიებო ველში საკვანძო სიტყვის (keyword) მითითებით, რაც შესაძლოა იყოს სახელი/გვარი, პროფესია, ორგანიზაციის სახელი და ა.შ.

- **ფილტრებით ძიება** - ბაზას უნდა ჰქონდეს შემდეგი ფილტრები: ქვეყანა, ქალაქი, პროფესია, საქმიანობის სფერო და ა.შ. შესაძლებელი უნდა იყოს რამდენიმე ფილტრის ერთდროულად მონიშვნა. გეოგრაფიული ადგილებისა და პროფესიების შესახებ ყოველი ახალი ინფორმაცია ფილტრებში უნდა ემატებოდეს ავტომატურად, მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისას მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
- **საჯარო პროფილების დათვალიერება** - ყველა ის რეგისტრირებული პროფილი, რომელსაც მითითებული აქვს რომ მისი პროფილი იყოს საჯარო, სხვა ავტორიზებულ მომხმარებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ რომ გადავიდნენ მათ პროფილზე. საჯარო პროფილზე განთავსებული ყველა ის ინფორმაცია რაც მომხმარებელ შევსებული აქვს რეგისტრაციის მეორე ეტაპის გავლისას.
- **ბორდების შექმნა** - ავტორიზებული მომხმარებელს უნდა შეეძლოს საჯარო პროფილების დაჯგუფება თავის სივრცეში შექმნილ ბორდებზე. ასევე, ბორდების რედაქტირება და სახელის დარქმევა, აღწერს მითითება. მომხმარებელს უნდა შეეძლოს ბორდზე არსებული პროფილების მონიშვნა და მათთვის საერთო მეილის მიწერა.

## მომხმარებლის სივრცის ფუნქციები

- **ვებ გვერდზე გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციების შენახვა** - ვებ გვერდზე, სხვა კატეგორიებში გამოქვეყნებული ინფორმაციების (სიახლეები, განცხადებები, ეკონომიკური პროგრამები და ა.შ.) შენახვა, დაჯგუფება ბორდებზე.
- **სიახლეების დამატება** - მომხმარებელს (ინდივიდს თუ ორგანიზაციას) შესაძლებლობა უნდა ქონდეს დაამატოს სიახლეები თავისი აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ. ეს ინფორმაცია გამოუჩნდება მხოლოდ რეგისტრაცია გავლილ სხვა მომხმარებლებს რომლების გადავლენ კონკრეტულად ამ საჯარო პროფილზე. ამ ნაწილში შესაძლებელი უნდა იყოს ქავერ ფოტოს, ტექსტისა, ვიდეო მასალის, ფოტო ალბომების ატვირთვის შესაძლებლობა.
- **საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება** - ეს არის ცალკე გვერდი მომხმარებლის სივრცეში, რომელსაც აქვს განაცხადის მიღების შესაძლებლობა. საჯარო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ რეგისტრაცია გავლილ, ავტორიზებულ მომხმარებლებს (ინდივიდებსაც და ორგანიზაციებსაც) თავიანთი პროფილიდან. საგრანტო კონკურსის ვებ გვერდს აქვს შემდეგი ველები: განმცხადებლის სახელი/გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, CV (ყველა ეს ინფორმაცია ივსება ავტომატურად), სამოტივაციო ტექსტი, ფაილების ატვირთვის შესაძლებლობა.
- **კომუნიკატორი** - მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთისთვის სმს შეტყობინების მიწერა. სისტემაში მიღებული შეტყობინების შესახებ მეილზეც უნდა მივიღოთ შეტყობინება.

მომხმარებელს ასევე, უნდა შეეძლოს პროფილის წაშლა.

მომხმარებლებს ან/და ორგანიზაციებს, რომლებიც არიან რომელიმე საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები, უნდა ჰქონდეთ მინიჭებული შესაბამისი მანიშნებელი (თეგი). ახალგაზრდა ელჩების შემთხვევაში აღნიშნული თეგი იქნება დროებითი.

## ავტორიზაცია

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მომხმარებელს ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა აქვს **ელ. ფოსტისა და რეგისტრაციის დროს მითითებული პაროლის გამოყენებით**.
ავტორიზაციის ნაწილში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს **პაროლის აღდგენის ფუნქცია**. რომლის გამოყენების შემთხვევაში მომხმარებელს მეილზე უნდა მისდიოდეს შესაბამისი ინსტრუქციით, სადაც შეძლებს ახალი პაროლის შექმნას და შემდეგ გაივლის ავტორიზაციას.

## პროექტის მართვა და ჩაბარება

პროექტის მართვისთვის გამოყენებული იქნება AGILE მიდგომები, რომლის ძირითადი პრინციპებიც უნდა იქნას შემსრულებლის მიერ გარანტირებულად დაცული. მსგავსი პრინციპებია:

- ✓ **გამჭვირვალეობა დეველოპმენტის პროცესში** - პროექტის დაწყებისთანავე, შემსრულებლის მიერ უნდა მოხდეს კონკრეტული გეგმის (ვადები, გუნდი) შეთანხმება, მნიშვნელოვანია პროექტში იყოს ჩართული შემდეგი კონფიგურაციის და გამოცდილების გუნდი:
    - **პროექტის მენეჯერი** - მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილებით;
    - **Software Architect** - დეველოპმენტში მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება და მინიმუმ 2 პროექტის არქიტექტურის გაკეთების გამოცდილება.
    - **2 Back End დეველოპერი** - მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილების დეველოპერი;
    - **2 Middle Backend დეველოპერი** - 1.5 წლიანი გამოცდილებით;
    - **Frontend React დეველოპერი** - 5 წლიანი გამოცდილებით
    - **QA მენეჯერი** - მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილების ტესტერი;
    - **UI/UX დიზაინერი** - 2 წლიანი გამოცდილებით.
- ✓ **სწრაფი დელივერი** - მნიშვნელოვანია რომ პროექტის გეგმა მოიცავდეს დეველოპმენტის ფაზების ისე დაყოფას, რომ მოხდეს ეპიკების სწრაფი ჩაბარება. პროექტი უნდა მოიცავდეს 2 კვირიან სპრინტებს, შესაბამის პროგრეს რეპორტებით და სკოუპის დამკვეთთან შეთანხმებული ეპიკების სტრუქტურას. თითოეული ეპიკების მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 კვირას (2 სპრინტი).
- ✓ **კომუნიკაცია** - მნიშვნელოვანია შემსრულებელმა წარმოადგინოს 2 კვირიანი სპრინტის პროგრეს რეპორტები, ხოლო ეპიკის ჩაბარება მოხდეს შეხვედრით და წარდგენით. პროექტის გუნდმა პროექტის მართვისთვის უნდა გამოიყენოს Task Management Platform და საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს დამკვეთის მხრიდან გუნდის წევრის დამატება.

**პროექტის ჩაბარების სავარუდო ეტაპები,** რომლის დეველოპმენტის შემდეგაც უნდა მოხდეს ვერსიების ატვირთვა სატესტო გარემოში ტესტირება და დამკვეთთან ჩაბარება (აღნიშნული ეტაპები არის საორიენტაციო და შემსრულებლის მიერ უნდა მოხდეს მისი შეხედულებისამებრ გადაკეთება, წარდგენა და დამტკიცება):

- ✓ პლატფორმის არქიტექტურისა და IT ინფრასტრუქტურის შექმნა - სამინისტროს IT გუნდთან კომუნიკაცია და მათი მხრიდან დადასტურება;
- ✓ ვებ გვერდის დიზაინის შექმნა;
- ✓ ავტორიზაცია/რეგისტრაციის ფუნქციონალის შექმნა;
- ✓ მომხმარებლის სივრცის ფუნქციონალური აღჭურვა;
- ✓ დიასპორილი ბაზის შექმნა და ინტეგრირება მომხმარებლის სივრცეში;
- ✓ ტესტირება
- ✓ მეფინფის გამართვა

- ✓ სიახლეების კომპონენტის მართვა
- ✓ სამართავი პანელის გამართვა

# პლატფორმის ტექნიკური მოთხოვნები

პლატფორმის ტექნიკური მოთხოვნები მოიცავს შემდეგ საბაზისო საკითხებს:

- ვებ დეველოპმენტი უნდა განხორციელდეს 0 დან შექმნის პრინციპით და არ უნდა იქნეს გამოყენებული რომელიმე Open Source CMS მოდული, ან SaaS პლატფორმა;
- დეველოპმენტისთვის გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი ტექნოლოგიები:
    - Backend: Java, Spring Framework (Apache Server)
    - Frontend: ReactJS
    - DataBase: MSSQL
    - ცენტრალიზებული ლოგირება: ELK Stack (free version), Just Database
- სატესტო და პროდაქშენ გარემოები უნდა აეწყოს და მუშაობდეს დამოუკიდებლად;
- შექმნილი ვებ აპლიკაცია თავსებადი უნდა იყოს და უხარვეზოდ ფუნქციონირებდეს შემდეგ პლატფორმებზე: Windows, Linux, Mac, Android, iOS;
- ვებ აპლიკაციის არქიტექტურა გათვლილი უნდა იყოს მომავალ გაუმჯობესებებსა და მასშტაბირებაზე;
- დეველოპერებმა უნდა უზრუნველყონ კოდის შიდა დოკუმენტირება (Low-level ან/და inline documentation პრინციპი);
- უსაფრთხოება:
    - სამართავ პანელში ავტორიზაციისთვის საჭიროა ორ ფაქტორიანი ავტორიზაცის მოდული (ელ. ფოსტა და მასზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდი ან/და Google Authenticator მოდული)
    - ყველანაირი მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა დაიშიფროს, როგორც ტრანზაქციების, ისე დამიწების დროს;
    - მონაცემთა ბაზებში პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს დაშიფრული სახით;
    - სისტემის მომხმარებლების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ნულოვანი ნდობისა და ნულოვანი პრივილეგიების პოლიტიკა;
    - ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ცვლილება უნდა ინახებოდეს ლოგის სახით: ვინ, როდის და რა ცვლილება შეიტანა სისტემაში. ასევე უნდა შეინახოს შეცვლილი მონაცემების პირვანდელი სახე.
    - მონაცემები დაზღვეული უნდა იყოს მისი წაშლის შემთხვევაში.
- სანდოობა:
    - სისტემის ე.წ UPTIME უნდა იყოს 98% მაინც.
    - კრიტიკული შეცდომები ყველა ოპერაციიდან მაქსიმუმ 0.2%-ში უნდა ხდებოდეს.
    - სისტემის შეცდომები არ უნდა იწვევდეს ვებ აპლიკაციის გაჩერებას;
    - სისტემური შეცდომების შესახებ ინფორმაცია არ უნდა ჩანდეს ვებ საიტის ფრონტ-ენდის მომხმარებლის მხარეს
    - ვებ აპლიკაციას უნდა ჰქონდეს პლატფორმის დიზაინზე მორგებული სტანდარტული შეცდომების გვერდები (400, 404, 500 და ა.შ.)

- გამტარუნარიანობა:
    - სისტემამ წაკითხვის ოპერაციაზე ნორმალურ პირობებში არ უნდა დახარჯოს 3 წამზე მეტი.
    - რედაქტირების ოპერაციაზე არ უნდა დასჭირდეს 5 წამზე მეტი.
- მომხმარებლის აქტივობის მოსალოდნელი მოცულობა:
    - სისტემა უნდა უძლებდეს სულ მცირე 50 ერთდროულ მოხმარებელს;
    - საშუალოდ წუთში შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად არანაკლებ 150 ოპერაციის დამუშავება.
    - სისტემის გამტარობა დამოკიდებული უნდა იყოს სერვერის აპარატული ნაწილის სიმძლავრეზე და არ უნდა იზღუდებოდეს კოდის შესრულების სისწრაფით;
- დიზაინი
    - დიზაინში გამოყენებული უნდა იყოს ადაპტირებადი დიზაინის პრინციპი და ის თავსებადი უნდა იყოს სხვადასხვა ტიპისა და ზომის მოწყობილობებთან. როგორც მცირე ზომის სმარტფონებთა, ასევე პლანშეტურ მოწყობილობებსა და ფართოეკრანიან მონიტორებთან;
    - შექმნილი ვებ აპლიკაცია თავსებადი უნდა იყოს გავრცელებულ ვებ ბრაუზერებთან, როგორიცაა: Chrome, Safari, Microsoft Edge, Opera და სხვა;
    - ვებ საიტი იქმნება მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო მისი შრიფტები თავსებადი უნდა იყოს UTF-8 უნივერსალურ კოდირებასთან;
    - სამართავი პანელის ვიზუალური ნაწილი წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;
    - სამართავი პანელისთვის რეკომენდებულია Metronic Theme, მსგავსი ვიზუალის, ან უკეთესი თემა.
    - ვებ საიტი თავსებადი უნდა იყოს WCAG 2.0 AA სტანდარტთან